წერილის ნომერი: **18-01232843234**
თარიღი: **11/10/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01232772182
წერილის თარიღი:	04 ოქტომბერი, 2023
განმცხადებელი:	დავით ჯაფარიძე
განაცხადის N	AR1992234
მისამართი	ქ. თბილისი, ავჭალის ქუჩა #7 გ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	72.12.06.162
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №5184603 თარიღი: 13 ნოემბერი, 2020
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	2700 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „ოსტატი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი საექსპერტო დასკვნა ფოტომასალა
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 33 ძირი ნერგი (10 ძირი ჰიმალაის კედარი, 12 ძირი კავკასიური ცაცხვი, 11 ძირი ნეკერჩხალი) სრულად ითვისებს კ3 (0,3) გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (810 კვ.მეტრი). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

დამატებით მოგახსენებთ, რომ **საინფორმაციო დაფის ესკიზზე დატანილი უნდა იყოს ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახული გამწვანების ესკიზი.**

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5[1]).

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/21020
28/12/2022

21020-2-03-2-202212281827

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

ასლი: შ.პ.ს. „გზა და ხიდს“
gzadakhidi@gmail.com

ასლი: სს „EGIS INTERNATIONAL“-ს
Info_projects@egis-georgia.com

საქართველოს საავტომობილოს გზების დეპარტამენტი ითავალისწინებს რა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 26 დეკემბრის №60-01223603156 მიმართვას, არ არის წინააღმდეგი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელის საავტომობილო გზის კმ0+900მ-ში, მარცხენა მხარეს, შპს **„ოსტატის“** საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №72.12.06.162), საავტომობილო გზის ღერძიდან 14 მეტრის მიღმა განთავსდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვით:

1. საცხოვრებელი სახლის მოსაწყობ ტერიტორიაზე გეკრძალებათ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 თებერვლის №289 განკარგულებით განსაზღვრული ობიექტების (ახალი დასვენების ადგილების, ავტოტექმომსახურებისა და ავტოგასამართი სადგურების, სასტუმროების, სავაჭრო და კვების ობიექტების) მშენებლობა და ფუნქციონირება.
2. სამუშაოების წარმოების პერიოდში აკრძალულია საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე და ტროტუარზე საშენი მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა და სხვა, ასევე ავტოტრანსპორტის გაჩერება და დგომა.
3. საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დემონტაჟი მოხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობა, კმ, პკ და საავტომობილო გზის ღერძის მიმართ დაშორება) უნდა იყოს მკაცრად დაცული, წინააღმდეგ შემთხვევაში საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით დეპარტამენტის მიერ გაცემული შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად.
5. წინამდებარე პირობების დარღვევის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას, მიმართოს შესაბამის უწყებებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შეჩერების ან დემონტაჟის შესახებ.

6. სამუშაოების წარმოების პროცესში ზემოაღნიშნული შეთანხმებით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესრულებაზე კონტროლი ევალება სს „EGIS INTERNATIONAL“-ს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ორგანოს. ტექნიკური პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სს „EGIS INTERNATIONAL“ ვალდებულია აცნობოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია გაატაროს სათანადო ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროს მშენებლობა, ან გაატაროს სხვა ღონისძიებები).

7. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში მიღებისას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი ორგანოს მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილი, რომლითაც დასტურდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში დეპარტამენტის მიერ გაცემულ ტექნიკურ პირობებთან მიმდინარე/დასრულებული მშენებლობის შესაბამისობა.

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/20234
19/12/2022

20234-2-03-2-202212191946

შპს „ოსტატი“-ს მინდობილ პირს
ბატონ დავით ჯაფარიძეს
ელ. ფოსტა: japaridzedev123@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 08.12.2022 წლის N 38452/2 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ავჭალის ქ. N 7გ-ში, ს/კ 72.12.06.162 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების საკითხს გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სახის ქმედება, შესაბამისად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების საკითხის განსახილველად მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოდგენილი იქნას:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურიდან მიმართვა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელზე საავტომობილო გზის გასწვრივ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე;

ბ) საავტომობილო გზის მომსახურე კონტრაქტორი ორგანიზაციის შპს „გზა და ხიდი“-ს (დირექტორი მამუკა ივანიაძე: 599500710) მიერ სველი ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების გენ-გეგმა, სადაც ნაჩვენები უნდა იქნას შენობა-ნაგებობის ზუსტი ფუნქციური დანიშნულება, განთავსების ზუსტი ადგილმდებარეობა (კმ, პკ, მხარე, საკადასტრო კოდი), საპროექტო შენობა-ნაგებობის საავტომობილო გზის ღერძიდან დაშორება.

ზემოთ მითითებული მონაცემების სრულად წარმოდგენის შემდეგ, შესაძლებელი გახდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მხრიდან განხილული იქნას შენობა-ნაგებობის საავტომობილო გზის მიმდებარედ მშენებლობის საკითხი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

საპროექტო შენობის განთავსების გენ. გეგმა

მ. 1:500



საპროექტო საგზაო ნიშნები

- 2.3
- 4.1.6.
- 7.4

შპს "ოსტატი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების სქემა
ქალაქი თბილისი, ავჭალის ქუჩა, №7გ
ს.კ: 72.12.06.162

მონაცემები ობიექტების განთავსების შესახებ

1. ინფრასტრუქტურის ობიექტის ზუსტი დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
2. საავტომობილო გზის დასახელება: თბილისის შემოსავლელი გზა
3. კილომეტრი, პიკეტი, გზის ღერძიდან დაშორება:
2 კმ. +900 მ. ღერძიდან 14.00 მ.
4. განთავსების მხარე და ადგილი დასახლებულია და დაუსახლებელი:
განთავსება გზის მარჯვენა და მარცხენა მხარე დასახლებულია

აღნიშნული არ წარმოადგენს მშენებლობის დაწყების საფუძველს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ტექნიკური პირობის შეთანხმება აუცილებელია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

GEORGIA, GZA DA KHIDI LTD 405071354

შპს "გზა და ხიდი"-ს დირექტორი: მ. ივანიაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

79154221389422

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220497809

რეგისტრაციის თარიღი

03.05.2022 წ

ნოტარიუსი: ზაალ ზაქარაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი. N 47
ტელეფონი: 595 07 52 44

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ოცდაორი წლის **სამ მაისს** მე, ნოტარიუსს საქართველოში ზაალი ზაქარაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის N47, მომმართა **დავით ტაბატაძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ იგი **შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი:** 400145758) დირექტორი, სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **დავით ტაბატაძემ** (დაბადებული:26.09.1984 წელს, დაბადების ადგილი - საქართველო, ხარაგაული პ/ნ 56001003859, მცხოვრები: **საქართველო, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, დაბა ხარაგაული, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, N 3-ში)** მომმართა.

მე შევამოწმე **დავით ტაბატაძის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ იგი **არის შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი:** 400145758) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B21066408, 01/07/2021 15:38:20

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, მან განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **დავით ტაბატაძე** როგორც **შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი:** 400145758) დირექტორი (შემდგომში - **„მიმნდობი"**), უფლებამოსილებას ვანიჭებ დავით **ჯაფარიძეს (დაბადებული:** 31.08.1977 **წ, დაბადების ადგილი:** საქართველო, თბილისი **პ/ნ** 01030013655) **შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი:** 400145758) სახელით განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

იყოს ჩემი, როგორც **შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი:** 400145758) დირექტორის წარმომადგენელი საჯარო და **კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან , მათ შორის** გარემოს დაცვის **სამინისტროში; საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მისდამი** დაქვემდებარებულ სამსახურებში; ქ. **თბილისის მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში; არქიტექტურის** სამსახურში; **ზედამხედველობის სამსახურში;** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში, **ადგილობრივი** თვითმმართველობის (გამგეობის) **ნებისმიერ სამსახურში; დააშზადოს, შეაგროვოს, წარადგინოს და მიიღოს** ცნობები, დოკუმენტები, ამონაწერი, საკადასტრო რუკა/გეგმა , **ნახაზი, პროექტი,** ნებართვა და სხვა. უზრუნველყოს პროექტის შეთანხმება, **სამშენებლო ნებართვის მიღება/გაგრძელება,** ყველა **საჭირო დოკუმენტის** მომზადება/წარდგენა/მიღება **შპს „ოსტატი"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი:** 400145758) **კუთვნილ** უძრავ ქონებასთან (მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ავჭალის ქუჩა, N 7 გ. ს/კ **72.12.06.162** დაკავშირებით, აწარმოოს ცვლილებების რეგისტრაცია; **შეიტანოს განცხადებები; თავისი** შეხედულებისამებრ შეათანხმოს მშენებლობის პროექტი; აწარმოოს მშენებლობის აღებასთან/კორექტირებასთან/ვადის გაგრძელებასთან/ (მშენებლობა, რეკონსტრუქცია.) მოითხოვოს, მიიღოს, წარადგინოს საჭირო დოკუმენტები, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები, დადგენილებები/გადაწყვეტილებები, გაასწოროს ხარვეზები, გადაიხადოს მოსაკრებლები, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

მინდობილობა დამოწმებულია სამი თანაბარი ძალის მქონე დოკუმენტად, რომელთაგან ორი გადაეცა მხარეს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში.

გადახდილია საზღაური ათი ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31–ე მუხლისა აგრეთვე დღგ 1,80 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის) და ორი ლარი თანახმად 39 მუხლისა დღგ-ს ჩათვლით. სულ გადახდილია საზღაური 13,80 ლარი.

დავით ტაბატაძე _____

ნოტარიუსი: ზაალი ზაქარაშვილი

ნოტარიუსი ზაალი ზაქარაშვილი
NOTARY ZAALI ZAKARASHVILI
60001078116
საქართველო • GEORGIA

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

MIA 7 23 01362474

15/05/2023

მოქ. ა. ფხალაძეს
ქ. თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 103/20;
თქვენს 2023 წლის 15 მაისის განცხადებაზე

ასლი: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ავჭალის ქ. N 7გ ს/კ 72.12.06.162-ის მიმდებარედ შესასვლელ–გამოსასვლელი გზის მოწყობის, სამშენებლო დამცავი ღობის განთავსების და არსებული საგზაო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი სქემების შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს თანხმობას (წერილის ნომერი 15/05/2023 16-01231352803), შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ დროებითი და მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემებს და არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ სამუშაოები შემდეგი პირობების დაცვით:

- ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხოების მიზნით დამცავი ღობის ფარგლებში მოეწყოს ქუჩის სავალი ნაწილის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა ბილიკი, ღობე გზის სავალი ნაწილის მხრიდან გადაიხუროს და ღამის საათებში განათდეს;
- სამშენებლო ობიექტზე მისასვლელი გზა (სამუშაოების განხორციელების პროცესში) აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული სქემების შესაბამისად, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოძრაოის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს გაუკეთდეს დროებით დემონტაჟი ან შეიფუთოს;
- საგზაო მოძრაობის რეგულირებისთვის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით სამუშაოების მწარმოებლის მიერ გამოყოფილ იქნეს სპეც. ტანსაცმლით და ალმით აღჭურვილი საჭირო რაოდენობის თანამშრომელი;
- დაცული იქნას გზის სავალი ნაწილის სისაუფთავე, არ დაუშვათ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის გზის სავალ ნაწილზე განთავსება;
- სამუშაოების დასრულებისთანავე ფეხით მოსიარულეთა ბილიკი მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში, დროებითი მოძრაობის რეგულირების ტექნიკურ

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia
ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საშუალებებს გაუკეთდეს დემონტაჟი და გზის მიერთების ადგილები აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემების შესაბამისად;

- სამუშაოების დაწყების შესახებ წინასწარ ეცნობოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამორიგეო ნაწილს (241–85–04; 241–85–05).

მეორე ადრესატს: გთხოვთ, უზრუნველყოთ კონტროლის დაწესება წერილში მითითებულ პირობების შესრულებაზე და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების განთავსების მდგომარეობაზე. შეუსრულებლობის შემთხვევაში გაატარეთ ზომები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231352803**
თარიღი: **15/05/2023**

ადრესატი: ალექსანდრე ფხალაძე
პირადი ნომერი: 01024049509
მისამართი: თბილისი ზემო ვეძისის ქ. N 103/20

ბატონო ალექსანდრე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი, 2023 წლის 10 მაისის №01231303839-16 განცხადება, რომელთანაც დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2023 წლის 10 მაისის №01231303839-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, ავჭალის ქუჩის N 7გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 72.12.06.162) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარებისა და სამანქანო გზის ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით, ხოლო სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

სააგენტო თანახმაა დროებითი შესასვლელ-გამოსასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები განხორციელდეს 2023 წლის 28 მაისს, 09:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე, ხოლო მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემით გათვალისწინებული სამუშაოები განხორციელდეს ნებართვის გაცემიდან 18 თვის განმავლობაში.

ასევე გაცნობებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო იტოვებს უფლებამოსილებას, მოითხოვოს სამუშაოების პერიოდში არსებული სიტუაციის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენა.

სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემის მიხედვით გათვალისწინებული საგზაო ნიშნები უნდა განთავსდეს მოძრავ დგარზე, რათა არ დაზიანდეს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოებისათვის საჭირო დროებითი და არსებული საგზაო ნიშნები ეწინააღმდეგება/ხელს უშლის ერთმანეთს, საჭიროა უკვე არსებული საგზაო ნიშნები შეიფუთოს, ხოლო სამუშაოს დასრულებისთანავე დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს დროებით დამონტაჟებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკურ საშუალებებს და ქუჩის სავალი ნაწილი (ყველა შეფუთული ნიშნის ჩათვლით) მოყვანილი იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ თუ მშენებლობის პერიოდში, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ხორციელდება სხვა სამშენებლო სამუშაოები და დროებითი საგზაო ნიშნები, რომლებიც განთავსებულია სხვა, ნებართვის მქონე, შემსრულებელი კომპანიის მიერ და კვეთს/ეწინააღმდეგება თქვენს მიერ დასამონტაჟებელ საგზაო ნიშნებს, დროებითი საგზაო ნიშნები დაიტანოთ საჭიროებისამებრ და აუცილებლობის შემთხვევაში, სამუშაოები განახორციელოთ უკვე განთავსებული დროებითი საგზაო

ნიშნების გამოყენებით. ხოლო, სხვა შემსრულებლის მიერ, სამუშაოების დასრულებისა და ნიშნების დემონტაჟის შემთხვევაში, უზრუნველყოთ თქვენი საგზაო ნიშნების სრულად მონტაჟი, მოცემული პირობების შესაბამისად.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.tbilisi.gov.ge/index.php/s/qJ4aJHuOUOCJPVL

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



მშენებლობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

შუქ. - ტ7 -4ც

1.26 ---- 3 ცალი

პირობითი აღნიშვნები

სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მიმართულება

მედროშე 1 ადამიანი

მისამართი	
ქ. თბილისი ავჭალის ქუჩა №7გ. (ს.კ. 72.12.06.162) საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა. (მშენებლობის პერიოდი)	
დამკვეთი	შპს "ოსტატი"
შემსრულებელი	ალექსანდრე
ტელ: 555 37-07-94	
თარიღი: 2023 წელი	მასშტაბი: პირობითი


ღობის და დამცავი ქოლგის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
შემსრულებელი:
ალექსანდრე: 555 37 07 94
ქ. თბილისი, ძ. ობოლისი აფშალის ქუჩა №7ა.
ნაკვეთზე ს/კ 72.12.06.162) ღობის და დამცავი ქოლგის მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა
ალექსანდრე: 555 37 07 94
უსაფრთხოების ლენტი
(ს.კ. 72.12.06.162)
აფშალის ძ.
აფშალის გზატკეცილი
50 მ.
15 მ.
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა
საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები
1.26 ---- 7 ცალი
3.24 ----4 ცალი
ციმციმა----4ცალი
3.10 2 ცალი
მუდროშე----1ცალი
უსაფრთხოების ლენტი
ქვეითთა მოძრაობა
3.31 ---2 ცალი
5.19.1 4 - ცალი
5.19.2 4 - ცალი
შენიშვნა: დროებითი სქემა შედგენილია
სსნ "37-84" და საქართველოს კანონის
საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მ-ს
2. ფუნქციური ზონის სიგრძე შეადგენს 65მ-ს
3. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები
4. ქვეითთა ნაკადი მოძრაობს სამუშაოთა წარმოების ზონის მიპირდაპირე მხარეს

მშენებლობის დასრულების შემდეგ საგზაო მოძრაობის ორგანიზების მუდმივი სქემა (დასრულებული ვარიანტი)

შემსრულებელი:

ალექსანდრე: 555 37 07 94

საგზაო ნიშნები:

2.3	2 - ცალი
5.19.1	4 - ცალი
5.19.2	4 - ცალი
4.1.1	1 - ცალი
4.1.2	1 - ცალი
4.1.4	1 - ცალი
2.1	1 - ცალი



შენიშვნა:
გათვალისწინებულია თქვენი შენიშვნა მიწის ზედა ავტოსადგომის მოწყობასთან დაკავშირებით.

პირობითი აღნიშვნები:

ტროტუარი

სამანქანო გზა

შშმ პირთა პანდუსები





შესასვლელ-გამოსასვლელი გზის
მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის
ორგანიზების დროებითი სქემა

შემსრულებელი:
ალექსანდრე: 555 37 07 94

ქ. თბილისი,ქ. თბილისი ავჭალის ქუჩა №7გ.
ნაკვეთზე ს/კ 72.12.06.162) შესასვლელ-გამოსასვლელი გზის
მოწყობის პერიოდში საგზაო მოძრაობის
დროებითი სქემა
ალექსანდრე: 555 37 07 94



შენიშვნა: დროებითი სქემა შედგენილია
3სნ "37-84" და საქართველოს კანონის
საგზაო მოძრაობის შესახებ მოთხოვნების შესაბამისად
1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50 მ.-ს
2. ფუნქციური ზონის სიგრძე შეადგენს 65მ.-ს
3. ნახაზზე ნაჩვენებია დროებითი საგზაო ნიშნები
4. ქვეითთა ნაკადი მოძრაობს სამუშაოთა წარმოების ზონის მოპირდაპირე მხარეს



საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

1.26 -2ც
შუქ. - ტ7 -2ც
4.2.2 1 ცალი
3.10 2 ცალი
3.31 1 ცალი
1.21.2 1 ცალი
3.24 - 1ც
დროებითი შესასვლელ გამოსასვლელი გზა ტექნიკის დადაადებილებისათვის

საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა

მისამართი
ქ. თბილისი ავჭალის ქუჩა №7ა. (ს.ქ.72.12.06.162)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების დროებითი სქემა.
(დროებითი შესასვლელ გამოსასვლელი გზის მოწყობის სქემა ტექნიკის გადაადგილებისათვის)

შემსრულებელი | ალექსანდრე
ტელ: 555 37-07-94
თარიღი: 2023 წელი | მასშტაბი: პროპორციული

პირობითი აღნიშვნები

ქვეითთა მოძრაობის მიმართულება
მეღორეში 1 ადამიანი
სასიგნალე ლენტი